

7. 96

გამოცემა როზალია ბერიძისა.

გად.
გურულ-ევგრალისა.

38465

ფ. ს. 3
3. 3. 9. 3.



სტამბა თე სამსახური
კარნაუხოვისა. ქუთ.

ଲୋକ ରଖିପୁ ଆଶିବ



ତାମରଦିନରେ

ეყოფა თუ არა ყველას მიწა?

ბრძოლაში ჰქოებ შენს უფლებას!

რუსეთში მიწა ბევრია. მარტო შიდა
რუსეთის მიწები, დონის მხრისა, კავკასი-
ისა, ციმბირისა, პოლონეთისა და ფინლან-
დიის მიწები რომ არ ჩავთვალოთ, 391
მილიონ დესეტინაზე მეტი იქნება. ეს რიც-
ხვი ცოტა არ არის — სასეირნოდ საკმაოა!
ვინ ჰფლობს ამ მიწას?

გლეხები, მემამულენი, ვაჭარნი, საუფ-
ლისწულო უწყება, მონასტრები და ქალა-
ქები. ხაზინას დაწვრილებითი ცნობები
აქვს ამ მიწების შესახებ. გამორკვეულია
ის, თუ რამდენია მიწა, ვის ეკუთვნის,
რამდენია მცხოვრები, გლეხი, მემამულე
და სხვა. თითოეული დესეტინა გამოანგა-
რიშებული აქვს, თითოეული სული აწე-

რილი ჰყავს, იმიტომ რომ მიწიდანაც და
ხალხიდანაც ხაზინამ შამოსავალი უნდა
აიღოს.

ვინ არის ჩვენს სახელმწიფოში ყველაზე
უფრო მდიდარი მიწით? ესეც დაწვრილე-
ბით არის გამორკვეული. შიდა რუსეთის,
ესე იგი 49 გუბერნიის გლეხების ხელში
ახლა ითვლება 134 მილიონი დესეტინა,
სხვების ხელში კი 257 მილიონი. სხვა ნაი-
რად რომ ვსთქვათ, გლეხებს ორჯელ ნაკ-
ლები მიწა აქვთ, ვიდრე მემამულეებს და
სხვებს.

მერმე დიდი კია რუსეთში გლეხების
რიცხვი? 49 გუბერნიაში, როგორც გამო-
ანგარიშებულია, $76\frac{1}{2}$ მილიონი გლეხი
სცხოვრობს. მათს ხელში 134 მილიონი
დესეტინაა. ყველა ეს მიწები რომ ავი-
ლოთ, და გლეხებს თანაბრად დავურიგოთ,
თითოეულ გლეხს თუ დესეტინაზე ნაკ-
ლები ერგება.

მემამულეების ხელში-კი ძლიერ ბევრი
მიწაა. ესეც დაწვრილებით არის გამოან-

გარიშებული. მემამულე თავად აზნაურებს ახლა 91 მილიონ დესეტინაზე მეტი აქვთ. სულ ასეთი მემამულე კი ნახევარ მილიონზე ნაკლებია; სხვა ნაირად რომ ვთქვათ, ერთი მემამულე უდრის 170 სულ გლეხს. ე. ი. გლეხები 170 ჯერ მეტნი არიან მემამულეებზე. თითოეულ სულ მემამულეზე ას ოთხმოც-და ათ დესეტინაზე მეტი მიწა მოდის.

აი რანაირად არის განაწილებული მიწა: ორთა შუა რიცხვით თითო მემამულეს აქვს 190 დესეტინაზე მეტი, თითოეულ სულ გლეხს კი—ორ დესეტინაზე ნაკლები. მართალია, ზოგიერთ მემამულეს სულ რამოდენიმე დესეტინა აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვებს რამოდენიმე ასი ათასი დესეტინა მოეპოვებათ, ხოლო ორთა შუა რიცხვით მაინც გამოდის, რომ თითოეულ სულ გლეხს 95 ჯერ ნაკლები მიწა აქვს, ვიდრე მემულეს.

ახლა ის ვიკითხოთ: რამდენი მიწა აქვს საუფლისწულო უწყებას? შვიდ- ნახევარი მილიონი დესეტინა—ეს მხოლოდ შიდა

რუსეთის 49 გუბერნიაში. სხვა აღგილებ-ში ამ უწყებას კიდევ აქვს დიდ-ძალი მიწა: თითქმის ყველა გუბერნიაშია საუფლისტუ-ლო მიწები. საუფლისტულო მიწა ნიშნავს სამეფო საგვარეულოს მიწებს, ე. ი. იმ მიწებს, რომელიც ეკუთვნის თვითონ მე-ფეს და მის ნათესავებს—მთავრებს. მაშა-სადამე, სამეფო სახლიც მემამულეა, და ძლიერ დიდიც. თვითონეულ დიდ მთავარს დაახლოვებით, რამდენიმე ასი ათასი დე-სეტინა მიწა აქვს.

ჰველამ იცის, რომ დიდი მთავრები აუა-რებელ ფულს ხარჯავენ, ხოლო მეურნეობას თვითონ არ მისდევენ. ამიტომაც მათ ასე ჰქმნეს: ერთად გამოაწყვეს განსაკუთრებუ-ლი უწყება, რომელსაც უწოდეს საუფ-ლისტულო, და დანიშნეს „განსაკუთრებუ-ლი გამგე-მმართველები“; ხოლო სხვა და სხვა გუბერნიაში გახსნეს „საუფლისტულო კანტორები“ და თვითეულ კანტორაში დააყენეს თითო მმართველი იმ გუბერნიის საუფლისტულო მიწების განსაგებლად. სა-უფლისტულო მამულების მართვა-გამგე-

ბაში თვით დიდი მთავრები მონაწილეობას არ იღებენ, ხოლო ყოველ წლობით მოგებას ინაწილებენ და უშრომლად ფულს იღებენ. მათ საქმეებს განაგებენ მოხელენი, რომელთაც სახელმწიფო ჯამაგირები ეძლევათ. პმნაირად, შემოსავალს ამ მიწებიდან იღებს მეფის სახლეულობა, ხოლო მათის მიწების განსაგებლად, თვალყურის სადევნებელად ხარჯს იხდის ხალხი...

მაგრამ ამ საუთლისწულო, ე. ი. სამეფო სახლის მემკვიდრეობითი მიწების გარდა, თითოეულ დიდ მთავარს კიდევ თავისი პირადი, „საკუთარი“ მიწები აქვს, რომელსაც თვითონ განაგებს ყოველისავე „უწყების“ გარეშე თავიანთის მოურავებით.

შველაზე მეტი მიწა კი თვით მეფესა აქვს. იგი ყველაზე უფრო დიდი მემამულეა მთელს რუსეთში. გას საკუთარი მამულები აქვს რუსეთის სახელმწიფოს სხვა და სხვა ადგილას. შველა საუკეთესო მიწები ან მეფის ხელშია ან და დიდ მთავრებისა. გეფეს აქვს არა ნაკლებ ერთ მილიონ დესეტინისა.

არც სამღვდელოების, ესე იგი მონასტოებისა და ეკლესიების, ხელშია ნაკლები მიწები, ეს მიწებიც ასი ათას ან და მი-

ლიონ დესეტინობით უნდა ვიანგარიშოთ.
არც წმინდა მამებმა დაივიწყეს თავიანთი
თავი,—სულ საიქიოზე ხომ არ უნდა
იფიქრონ!

გარდა ამისა, ბევრი მიწა იქვს ხაზინას,
—რომელსაც სახელმწიფოს უწოდებენ.
სახელმწიფო მიწები ხაზინას ეკუთვნის, ე.
ი. მთელ სახელმწიფოს, მაშასადამე მთელ
რუსეთის ხალხს. მაგრამ მაგარიც ის არის
რომ ამ მიწებს განავებს და პპატრონობს
არა თვით ხალხი, არამედ მეფის მთავრო-
ბა, ბიუროკრატია, რომელიც ხალხის მიერ
არ არის არჩეული, ხალხის გასაჭირს ყუ-
რადღებას არ იქცევს, ხალხს არაფერში
ანგარიშს არ აძლევს, ხალხისაგან არ არის
დამოკიდებული და დაპპატრონებია სა-
ხელმწიფოს მთელის მშრომელ ხალხის სა-
ზარალოდ.

შიდა რუსეთის 49 გუბერნიაში ხაზინას
იქვს $150\frac{1}{2}$ მილიონი დესეტინა მიწა. ქვე-
ლაზე მეტი მიწა ხაზინის ხელშია. ვეებერ-
თელა ტყეები სამხრეთ და სამხრეთ-აღმო-
სავლეთ გუბერნიებში ხაზინას ეკუთვნის.
ნახევარი პერმის გუბერნიისა და ნახევარ-
ზე ცოტა ნაკლები ვიატკის გუბერნიისა
ეკუთვნის ხაზინას. მს ორი გუბერნია ნი-

მუშად მოვიყვანეთ, ყველგან ასეა. ყველა ზემოდ ჩამოთვლილს გარდა, დიდ ძალი ადგილები აქვს ხაზინას თვალუწვდენელ ციმბირში, კავკასიასა და თურქეთანშა.

მაშასადამე, საჭმის ვითარება ასეთია: სამეფო გვარეულობას, ხაზინას, მონასტრებს, კერძო მემამულეებს, ერთი სიტყვით, ყველას დიდ ძალი მიწა აქვთ და მხოლოდ გლეხებსა აქვთ ცოტა მიწა. ადგილ-მამულმა თავი მოიყარა იმათ ხელში, ვინც არა მუშაობენ, ხოლო გლეხებს, რომელნიც დღეს ლამესთან ასწორებენ, მიწის სივიწროვით სული ხდებათ. **მიწით** მაძღრები არიან ისინი, ვინც მაზე არა მუშაობენ, ხოლო ვინც მიწაზე შრომობს და თავის ლფლითა და სისხლით რწყავს, ნახევრად მშიერი სცხოვრობს. **მიწაც მშიერია** და მხვნელიც.

პი, ასე უსამართლოდაა დანაწილებული მიწა დღეს რუსეთში.

პი, ამის გამო ბიუროკრატია და სასულიერო წოდების წარმომადგენელნი ზოგჯერ ხალხს რას ეუბნებიან: თუნდაც რომ სამართლიანად დანაწილდეს მთელი მიწა, მაინც ყველას არ ეყოფაო... ეს ტყუილია. რომ ავიღოთ ყველა ეს 391 მილი-

ონი დესიატინა კარგი მიწა და მივცეთ
საზოგადო სასარგებლოდ მთელ მშრომელ
მიწის მუშა ხალხს, სამართლიან დანაწილების დროს, თვითეულს, ბავში და ქალიც რომ ვიანგარიშოთ, ერგებოდა არა ნაკლებ ოთხის დესეტინისა, ხოლო თვითოეულ გლეხის ოჯახს (ოჯახში ორთაშუარიცხვით ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ) ერგება არა ნაკლებ ოცის დესიატინისა.

მაშასადამე, სიცრუვეა, ჭორია ის, ვითომ რუსეთის სახელმწიფოში მშრომელ ხალხისთვის საკმაო მიწა არ მოიპოვება.

მიწა ბევრია, მაგრამ ბიუროკრატიას არა ჰსურს მშრომელ ხალხს მისცეს იგი.

მიწა ბევრია, მხოლოდ საჭიროა ცოდნა, როგორ შეიძლება მისი მიღება. **საღმრთო წერილში** სწერია: „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“.

„**ქი,** მაგრამ როგორ შეიძლება მოპოვება“, იტყვის ბევრი.

ბევრი გლეხი ლმერთს ევედრება, ლვთის იმედი აქვს, ის თუ გვიშველის რამესო. **მაგრამ** ლმერთი ხომ ლმერთია და „ხელი გაანძრიე და ნაშველი იქმნები“, ეს ერთი; მეორე: აბა აქ ლმერთი რა შუაშია, როდესაც დედა მიწა ხალხმა დაჰყო ერთმა-

ნეთში უსწორ-მასწოროდ? — ეს უსწორ-მას-
წორობა კაცის ბრალია, მაშასადამე, პასუ-
ხიც კაცებმა უნდა აგონ. მიწის უსწორ-მა-
სწორობის მოსპობა თვით მშრომელი ხალ-
ხის საქმეა. მთავრობისა და მდიდრების
იმედი ტყულიად ნუ ექმნება მშრომელ
ხალხს. მთავრობა იმას არ იზამს, რომ
მთელი მიწა მშრომელ ხალხს გადასცეს.
მთავრობა არაფრის გულისათვის არ დად-
გება მშრომელ ხალხის მხარეზე,

პკი იყო გლეხების საქმე პოლტავისა და
სხვა გუბერნიებში. მერე, ვის მხარეზე და-
დგა მაშინ მთავრობა? რასაკვირველია,
ბატონებისა და არა გლეხების მხარეზე.
არც ერთ დროს, არც ერთ ქვეყანაში
მთავრობას არ დაუკმაყოფილებია გლეხე-
ბი მიწებით. მაშასადამე, საქმე აშკარაა:
გლეხებს თავდაპირველად თავიანთ თავის
იმედი უნდა ჰქონდეთ. ტყულიად-კი არ
არის ნათქვამი: არავინ გლეხს არ დაეხმა-
რება, თუ თითონ თავის თავს არ დაეხმა-
რაო. თითონ უნდა ჩავარდეს ჭკუაში,
თითონ უნდა მოვიდეს გონს.

პი რას ამბობს სინამდვილე: რუსეთის
სახელმწიფოში ბევრი მიწაა, ძლიერ ბევ-
რი, ციმბირიც რომ არ ჩავთვალოთ. მი-

წა ყველას ეყოფა. ხოლო არა პყოფნის
იმიტომ, რომ მიწა ხალხის ხელში-კი არა,
კერძო მფლობელობის ხელშია და განა-
წილებულია უკანონოდ, უსამართლოდ,
გლეხების არასასარგებლოდ, არა სასარგე-
ბლოდ მთელის რუსეთის ხალხისა და სახელ-
მწიფოსთვის.

სამართალი-კი მიუითხოვს, რომ მიწა ბა-
ტონებისა, თავად-აზნაურებისა და სხვა ამ
გვარების ხელიდან გადავიდეს მშრომელ
ხალხის ხელში. სამართლით, მიწით უნდა
სარგებლობდეს ის, ვინც იმას ამუშავებს
და სანამ იგი მაზე მუშაობს. იმუშავებ—
წაილე მიწა, მიატოვებ მუშაობას—გადაე-
ცი იგი იმ საზოგადოებას, სადაც მიწა
იმყოფება, საზოგადოება-კი მოსეპნის, ვის
გადასცეს მიწა ხელ-ახლა სასარგებლოდ.
ჸი, როგორია სამართალი! ვინც მუშაობს
მთელი შემოსავალიც იმისი უნდა იყოს:
ეს შემოსავალი ხომ მის მარჯვენის ნამ-
ყოფია! მუშა კაცს რომ წაართვა შრომის
ნაყოფი, შემოსავალი და უსაქმურებს გა-
დასცეთ—ეს დიდი უსამართლობაა; ამის
შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია.

“სამართლობაა, რომ გლეხები იჯარის
თასს აძლევენ მიწის მფლობელებს, რაღ-
განაც მიწის პატრონები თვითონ არ მუ-

შაობენ, გლეხები-კი მუმაობით წელში
სწყდებიან. უსამართლობაა რომ მშრომე-
ლი გლეხები თავიანთ ნაშრომით სხვებს
ჰქვებავენ, აძლევენ დიდს შემოსავალს,
ხოლო თავიანთ შრომისთვის კი ცოტა
რჩებათ. უსამართლობაა, რომ $76\frac{1}{2}$ მი-
ლიონი გლეხი ჯანს იგდებს სხვათა საკე-
თილდღეოდ. როგორც უნდა შეხედო
კაცმა საჭმეს, ცხოვრების ამგვარი წყობი-
ლება უსამართლოა, უკანონო და არა
ხელსაყრელი მთელის ხალხისთვის.

სიმართლე რომ ვთქვათ, სულ პირველი
და ყველაზე უფრო საჭირო საჭმე მთელი
რუსეთის ხალხის სიკეთეა. ხოლო რუსე-
თის ეხლანდელ წყობილების დროს მთელი
სახელმწიფო გადადებულია ხალხის მაწუ-
ხებელ მაძღართა საკეთილოდ და საბერ-
ნიეროდ. ძალიან მოხერხებულად არიან
მოწყობილნი: ფლობელ მიწას უმუშევრად;
მკიან იქ, სადაც არ დაუთესიათ.

მრთნი ამბობენ; „ჩვენ მიწები მემკვიდ-
რეობით მივიღეთ“, მეორენი გაიძახიან:
„ჩვენ მიწები ვიყიდეთ, ჩვენის სისხლით
აღებული ფული მიგვიცია“, სხვები ლაპა-
რაკობენ: „ჩვენი ადგილები ჩვენმა წინა-
პრებმა თავიანთის შრომით შეიძინესო“,
აი, როგორი უცოდველნი და წმინდა-

ნი აღმოჩნდნენ. ყველა ამისთანა ბატონებს გლეხმა უნდა ჰქითხოს: „თქვენ თითონ-კი მიწას საკუთარის ხელებით ამუშავეთ თუ არა?“

— არა, არ გვიმუშავნია და არც ვმუშაობთო, — იტყვიან ისინი.

— თქვენის შრომით ხომ არ გამოკეთდა მიწა! თქვენმა წინაპრებმა ხომ არ დაიმუშავეს? — ისევ ჰქითხავენ გლეხები.

— არა, იმათ-კი არა, ყმა გლეხებმა, დროებით ვალდებულმა გლეხებმა, მოჯამავირე გლეხებმა, მოიჯარადრე გლეხებმა დაიმუშავესო, — იტყვიან.

— ამ ნაირად გამოდის, რომ სულ გლეხებმა და გლეხებმა, თქვენ კი თვითონ რა? ჰქითხავენ გლეხები.

— იმათ ხომ დიდი ხანია მიიღეს, რაც ჩვენგან ერგებოდათ.

— ჩვენ ვიცით „რაც ერგებათ“. რისთვის მოხდა, რომ მათ წილად ნაკლები ერგოთ, ვიდრე თქვენ? ისინი მუშაობდენ და ვერ გამდიდრდენ, თქვენ კი არ გიშრომიათ და გამდიდრდით. როგორ მოხდა ის, რომ თქვენ თქვენის არ კეთებისათვის მიიღეთ და იღებთ ბევრჯერ მეტს შემოსვალს, ვიდრე მშრომელი მხვნელ-მთესვე-

ლები თავისანთის დიღის შრომისთვის? როცა მოსავლის საქმე გაყოფამდის მიღება: მუშას გროში, ხოლო მიწის პატრონთ — მანეთები.

მიწა ხომ ჩვენი საკუთრებაა — იტყვიან ზოგიერთები. — აი, თურმე რა ყოფილა! საკუთრება! კარგი თქმა! დიღი ხანია კი, რაც თქვენ ადამიანებით ვაჭრობდით და ადამიანებს ძაღლებში სცვლიდით? მაშინაც ხომ იმას გაიძახოდით, რომ არ შეიძლება ყმების წართმევა, იმიტომ, რომ ისინი „საკუთრება?“ საქმეც ის არის, რომ ძარცვა-გლეჯით ყველაფერი შეიძლება, ხოლო სიმართლითა და სამართლით — არც ადამიანით, არც მიწით ვაჭრობა, არ შეიძლება არ შეიძლება არც ყიდვა და არც გაყიდვა, არც მემკვიდრეობით გადაცემა. მაშასადამე, არც მიწის საკუთრება შეიძლება იყოს. ყველაფერი, რაც მიწას მოაქვს, მშრომელ გლეხების წყალობაა, სხვები კი მათის ნაშრომის სასყიდლად მხოლოდ თავის გამოსაკვებს აძლევენ, დანარჩენს ჯიბეში იღებენ. სხვის შრომით ჯიბის გასქელება — ეს ხომ ყაჩალებმაც იციან დიღს შარა გზაზე. ჩვენებურად კი ასე უნდა: ვისი ხელებითაცაა

დამუშავებული მიწა, იმას უნდა ეკუთვნოდეს ნაყოფიც.

„სიმართლით ქვეყანა არავის მოუჭა-
მიაო“. მამული, ფულით ნაყიდი, მაინც
წანაგლეჯი მამულია. პგრეთვე მამული,
მემკვიდრეობით მიღებული ეს ნიშნავს
უშრომლად მიღებულ მამულს, წართმე-
ულს, იმ კაცებისაგან, რომელთაც თავი-
ანთ შრომით მიწა გააუმჯობესეს და და-
ამუშავეს; ხოლო იმას, ვინც თვითონ
ამუშავებს მიწას, იმას რა? გული გიკვდება
კაცს, როცა ხედავ, რომ ვინც თესავს, ის
არაფერს არ იძყის.

ამ ნაირად: მიწით უნდა სარგებლობდეს
ის, მხოლოდ ის, ვინც თავის საკუთარ
ხელებით მუშაობს და სანამ იგი ამ მიწაზე
მუშაობს.

სიმართლით და სამართალით მშრომელი
გლეხ-კაცობა უნდა აღდგეს თავდაპირვე-
ველად თავის დიდებულ საზოგადო სახალ-
ხო საქმისთვის. მან უნდა მიიღოს მიწები
მემამულეთა, სამღვდელოებისა, საეკლესიო,
სამონასტრო და საუფლისწულო უწყებისა.

სახელმწიფო მიწები ხომ ისედაც სახა-
ლხო მიწებია, იმიტომ რომ ეს მიწები
მთელის რუსეთის ხალხის სავკვიდრებელია.

მეფის მთავრობა მხოლოდ განაგებს მიწებს. რადგან იგი ცუდად განაგებს და იმის განკარგულებისაგან არავითარი სარგებლობა არა აქვთ გლეხებთ,—შევნელმთესველებს—ამიტომ თვით მშრომელმა გლეხ-კაცობამ უნდა განაგოს მიწების საქმე, სახელმწიფო მოხელეთა გარეშე და აი რა ნაირად:

შველა მიწას, რომელიც, ხალხთა შორის განაწილებით, მიწერილ იქნება თემზე, უნდა განაგებდნენ თემის მცხოვრებნი. ყველა მიწას, რომელიც იმავ დანაწილებით, მიწერილი იქნება მაზრაზე, უნდა განაგებდნენ პირადად ან თავიანთის რწმუნებულების, არჩეულ პირების შემწეობით, მთელის მაზრის მცხოვრებნი. შველა მიწას, რომელიც მიწერილი იქნება გუბერნიაზე, უნდა განაგებდნენ, თავიანთ რწმუნებულების ხელით მთელის გუბერნიის მცხოვრებნი. შველა მიწას, რომელიც მთელს რუსეთის სახელმწიფოშია, უნდა განაგებდეს თავიანთ რწმუნებულ, ამორჩეულ კაცების შემწეობით, მთელის რუსეთის ხალხი.

შველა თემს უფლება უნდა ჰქონდეს, თავისუფლათ აირჩიოს რამდენისამე წლით რწმუნებულები და ჰგზავნონ ისინი

თავის სამაზრო ქალაქში, რომ იქ განა-
გონ მთელი მაზრის საქმეები და ანგარი-
ში აძლიონ, პასუხი აფონ, მთელის მაზ-
რის მცხოვრებთა წინაშე. ყველა მაზრას
უნდა ჰქონდეს უფლება თავის მიერ ამო-
რჩეული კაცები გაპეზავნოს საგუბერნიო
ქალაქში. ამ ამორჩეულმა კაცებმა უნდა
აწარმოვონ ყველა საქმეები გუბერნიისა
და აგრეთვე აძლიონ ანგარიში ხალხს და
პასუხი აფონ.

აი, ეს არის ნამდვილი სამართლიანი
მოწყობა რუსეთის საქმეებისა.

როცა რუსეთის სახელმწიფო ამ ნაირად
იქმნება მოწყობილი, მაშინ მთელის სა-
ხელმწიფოს მმართველი იქმნება თვით
ხალხი და არა არა-მკითხე ბიუროკრატია.
და როცა თვითონ ხალხი იქნება მმართ-
ველი, მაშინ მიწის საქმესაც მოაწყობს,
როგორც რიგია,—გამოაცხადებს მიწას
საზოგადო კუთვნილებად და მაშინ მიწა
ყველა მურომელს ეყოფა.

გაშასადამე, მეფესა და ღმერთს კი არ
უნდა ვეპოტინებოდეთ ჩვენ ეხლა, არამედ
ერთმანეთში უნდა მოვილაპარაკოთ და საე-
რთო შეთანხმებით უნდა დავიწყოთ ბრძოლა
მიწისა და თავისუფლებისათვის.

33

3 975